საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აზო

აზო, აზონი, ლეგენდარული პიროვნება.

იხსენიება ძვ. ქართ. ისტ. წყაროებში. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ თანახმად, ალექსანდრე მაკედონელის (ძვ. წ. 356–323) ერთ-ერთი სარდალი, რ-იც მცხეთაში დატოვა მმართველად. ა. ყოფილა ქართველი, არიან-ქართლის მეფის ძე. მას თავისი მამის ქვეყნიდან, ქართველების პირვანდელი სამშობლოდან, წამოუყვანია მრავალი სახლი (გვარი), 10 სახლი კიდევ „მამა-მძუძეთა“ (აღმზრდელთა) და დაუსახლებია მცხეთასა და მის მიდამოებში. ა-ს არიან-ქართლიდან თან წამოუღია ღვთაებათა–გაიმისა და გაცის კერპები. ასე წარმოქმნილა ქართლის სამეფო, რ-ის პირველი მეფე თვითონ ა. გამხდარა. ამ თქმულებაში ჩანს გამოძახილი სხვადასხვა მითისა, კერძოდ, ა-ს სახელი არგონავტების მითის გმირის, იაზონის ვარიანტი უნდა იყოს.

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ა. მაკედონელია, ალექსანდრე მაკედონელის სარდალი, რ-იც მან მცხეთაში დააყენა მმართველად და მისცა „ასი ათასი რომაელი“ (ბერძენი) მეომარი. ქართლთან ერთად ა-მ დაიპყრო ჰერეთი, დას. საქართველო, ხარკი დაადო ჩრდ. კავკასიის ტომებს. ა-ს წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო ფარნავაზმა, მცხეთის მამასახლისის სამარას ძმისწულმა. იგი დაუკავშირდა ეგრისის მმართველ ქუჯის. მათ მიიმხრეს აგრეთვე ჩრდ. კავკასიაში მცხოვრები ტომები და ა-ს ლაშქრის ათასი რჩეული მეომარი. ა. დამარცხდა და დაიღუპა ამ ბრძოლაში.

ლიტ.: მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი გ., ქართლი (იბერია) ძვ. წ. VI–IV საუკუნეებში. ქართლის სამეფოს წარმოქმნა, წგ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, თბ., 1970.; ქ ა ვ თ ა რ ი ა გ., აზონი, თბ., 2000.